



## ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 77

2011 წლის 21 ივნისი

ქალაქი ხაშური



სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ ხაშურის მუნიციპალიტეტისათვის სს „მადნეული“-ს მიერ გადმოცემული საწვავის განკარგვის შესახებ

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2011 წლის 18 ივნისს განვითარებული სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციოდ სს „მადნეულმა“ ხაშურის მუნიციპალიტეტს გადასცა 10 000 (ათი ათასი) ლიტრი საწვავი, მათ შორის 5 000 (ხუთი ათასი) ლიტრი ბენზინი და 5 000 (ხუთი ათასი) ლიტრი დიზელი.

საწვავით მოხდება იმ სპეც. ტექნიკის და ავტომანქანების უზრუნველყოფა, რომელთა მფლობელებიც უსასყიდლოდ იღებენ მონაწილეობას გაწმენდით სამუშაოებში და ხაშურის მუნიციპალიტეტის თხოვნით ეხმარებიან სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკრებულომ გადაწყვიტა:

1. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ პირველი რიგის გადაუდებელი ღონისძიებების გასატარებლად ხაშურის მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს სპეც. ტექნიკის და ავტომანქანების მომარაგება შესაბამისი ოდენობის საწვავით;
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს როსტომ გრიგალაშვილს განახორციელოს კონტროლი საწვავის აღრიცხვასა და განაწილებაზე.
3. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში(ქ.ხაშური, კოსტავას ქ.№15) ერთი თვის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე  
დავით ლომიძე

